პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1975 შაბათი 8 მარტი № 57 (16183) ფასი 2 კაპ. 1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

**8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა**

**ძვირფასო ამხანაგო ქალებო!**

ამ საზეიმო დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გისურვებთ ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებითს წარმატებებს! სიხარული და ბედნიერება თქვენ და თქვენს ოჯახებს! პარტია და ხალხი დარწმუნებული არიან, რომ კვლავაც მთელ თქვენს ნიჭს, მთელ ძალღონეს, გულის მგზნებარებას, მზრუნველი ხელების ოსტატობას მოახმართ ჩვენი მშვენიერი სამშობლოს სამსახურს, მის განმტკიცებასა და აყვავებას!

# საბჭოთა ქალებს

**ძვირფასო** ამხანაგო ქალებო, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სახელოვანო შვილებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს — მშვიდობის ნათელი იდეალებისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალთა ერთიანობისა და სოლიდარობის დღეს!

8 მარტის წლევანდელ დღესასწაულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. 1975 წელი მთელ პლანეტაზე აღინიშნება როგორც ქალის საერთაშორისო წელი. მისი კეთილშობილური დევიზია: ქალთა თანასწორუფლებიანობის, თავიანთი ქვეყნების ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა, მათი როლის ყოველი ღონისძიებით ამაღლება მშვიდობის განმტკიცების, ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის დამკვიდრების საქმეში.

ეს ჰუმანური იდეები ახლობელი და ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისათვის. მათი გამარჯვებისათვის თავდადებით იბრძოდა ჩვენი ქვეყნის რევოლუციონერთა ბევრი თაობა, მათ შორის ბევრი მოწინავე ქალი. დიდმა ოქტომბერმა რეალობად აქცია მშრომელი ქალის მრავალსაუკუნოვანი ოცნება თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობაზე. „არცერთ სახელმწიფოს და არცერთ დემოკრატიულ კანონმდებლობას არ გაუკეთებია ქალებისათვის იმის ნახევარიც კი, რაც გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის პირველსავე თვეებში“. (ლენინი).

სოციალიზმმა, რომელმაც მშრომელი მასები გაათავისუფლა ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან, პირველად ისტორიაში უზრუნველყო ქალთა აქტიური მონაწილეობა სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ქალებს გახსნილი აქვთ განათლების მიღების, ნიჭისა და უნარის გამოვლინების ყველა გზა. არ არის საზოგადოებრივი საქმიანობის ისეთი სფერო, სადაც შთაგონებითა და შემოქმედებით არ შრომობდნენ ჩვენი სახელოვანი ქალები.

ქალები — მუშები და კოლმეურნეები, ინჟინრები და აგრონომები, მასწავლებლები და ექიმები, მეცნიერები და ხელოვნების მოღვაწენი — უანგაროდ ახმარენ ძალღონეს, გამოცდილებასა და ცოდნას კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს, მტკიცედ იბრძვიან სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული სოციალურ-ეკონომიური პროგრამის განხორციელებისათვის. სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა მეცხრე ხუთწლედში ათეულათასობით საბჭოთა მშრომელი ქალის თვალსაჩინო მიღწევებს. ბევრ მათგანს მიენიჭა მთავრობის ჯილდოები, საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს კი სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ახლა, როცა მთელი ქვეყანა ცხოვრობს ერთი მისწრაფებით — წარმატებით დაამთავროს მეცხრე ხუთწლედი, საბჭოთა ქალები უდიდესი აღმავლობითა და ენთუზიაზმით მუშაობენ. ისინი აქტიურად მონაწილეობენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში, იჩენენ შრომითს თაოსნობასა და არიან ამ თაოსნობათა ორგანიზატორები, უჩვენებენ მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითებს. დიდი მადლობა თქვენ, ძვირფასო ქალებო, თქვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ მამაცური შრომისათვის!

გაზაფხულის ამ სასიხარულო დღესასწაულის დღეს პატივისცემითა და სიყვარულით მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო დედებო! გულის მთელ სითბოს ახმართ შვილებს. ადამიანის გაზრდა და სწავლება, სოციალისტური სახელმწიფოს ღირსეულ მოქალაქედ მისი აღზრდა, საზოგადოების საკეთილდღეოდ შრომისათვის მომზადება, ეს არის მაღალი მოწოდებაც, საპატიო მოვალეობაც, დიდი პასუხისმგებლობაც.

დედები ჩვენში გარემოსილი არიან მუდმივი ყურადღებითა და ზრუნვით. წლითიწლობით უმჯობესდება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა. ყველაფერი კეთდება თვითეული საბჭოთა ოჯახის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. უფრო სრულად კმაყოფილდება ქალთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები, უმჯობესდება მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები. პარტია და საბჭოთა მთავრობა არ იშურებენ ძალღონესა და სახსრებს მოზარდი თაობის განათლებისა და აღზრდის განვითარებისათვის. ქვეყანაში მთავრდება საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის უდიდესი მნიშვნელობის ამოცანის განხორციელება. ქალიშვილებისა და ჭაბუკების წინაშე ფართოდ არის გადაშლილი საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლინების გზები.

ცხოვრების საბჭოთა წესის, სოციალისტური დემოკრატიის განუყოფელი ნიშანია ქალთა მზარდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა. ჩვენი ქვეყნის მილიონზე მეტი მშრომელი ქალი არჩეულია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, მილიონობით ქალი ნაყოფიერად მუშაობს პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. კომუნისტური პარტია კვლავაც დაუცხრომლად იზრუნებს იმისათვის, რომ საბჭოთა ქალები სულ უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში.

ქალთა საერთაშორისო დღეს აღვნიშნავთ საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში თვალსაჩინო პოლიტიკური მოვლენის — დიდი სამამულო ომის ძლევამოსილი დამთავრების 30-ე წლისთავის წინ. ისე მკაფიოდ, როგორც ომის მკაცრ წლებში, არასოდეს არ გამოვლენილა სოციალისტური წყობილების მიერ, ლენინური პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა ქალის სიდიადე.

უკვდავია მგზნებარე პატრიოტი ქალების გმირობა, რომლებიც მამაცურად, სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდნენ ფრონტებზე და პარტიზანულ რაზმებში. უკვდავია საბჭოთა ზურგის მშრომელ ქალთა გმირობა, რომლებიც ჭედდნენ გამარჯვების იარაღს, მუშაობდნენ იმათ მაგივრადაც, ვინც ფრონტზე წავიდა. „შესაძლებელი რომ იყოს ისეთი სასწორის პოვნა, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — რომლის ერთ მხარეზე ჩვენი ჯარისკაცების მხედრულ გმირობას დავდებდით, ხოლო მეორე მხარეზე — საბჭოთა ქალების შრომითს გმირობას, ალბათ, ვერც ერთი მხარე ვერ გადასწონიდა, ვერ გადაიხრებოდა, ისევე როგორც ვერ გადახარა განსაცდელმა ქმრებთან და ვაჟიშვილებთან ერთად მწყობრში ჩამდგარი გმირი საბჭოთა ქალები“.

დიდ სამამულო ომში მსოფლიოისტორიული გამარჯვება რომ მოიპოვა, ჩვენმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია მშვიდობიან მშენებლობაში. საბჭოთა ადამიანები გულდაჯერებით მიდიან კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზით. მათ შეუძლიათ სამართლიანად იამაყონ იმით, რომ თავიანთი თავდადებული შრომით ნათელი მომავლის გზას უკვალავენ მთელ კაცობრიობას.

ოქტომბრის რევოლუციაში აქტიური მონაწილეობით, სამოქალაქო ომსა და დიდ სამამულო ომში გმირული ბრძოლით, მძლავრი თანამედროვე ეკონომიკისა და მაღალი სოციალისტური კულტურის შექმნისათვის თავდადებული შრომით ჩვენი ქვეყნის ქალებმა თანამედროვეებს უჩვენეს ახალი, სოციალისტური სამყაროს — თავისუფლების, თანასწორუფლებიანობის, სწრაფი სოციალური პროგრესის სამყაროს ქალის სახე.

ჩვენი საბჭოთა სამშობლო მშვიდობისა და სოციალიზმის უძლეველი ბურჯია. პარტია და საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებულ მშვიდობის პროგრამას. პარტიის ლენინური საგარეოპოლიტიკური კურსი მიზნად ისახავს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ხელშემწყობი პირობების უზრუნველყოფას, ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და უშიშროების დაცვას. პარტია ამ კურსს ახორციელებს ჩვენი ხალხის, მთელი პლანეტის პროგრესული ძალების სრული და ერთსულოვანი მხარდაჭერით. საბჭოთა ქალები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას და აქტიურად უწყობენ ხელს მის განხორციელებას.

ხალხთა მეგობრობისათვის მტკიცე მებრძოლნი — საბჭოთა ქალები ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის პირველ რიგებში არიან. მათ მტკიცე სოლიდარობა აკავშირებთ მსოფლიოს მშრომელ ქალებთან იმპერიალიზმისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და დამონების, კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ეროვნული განთავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საერთო ბრძოლაში. დაე კვლავაც მტკიცდებოდეს საბჭოთა ქალების მეგობრობა მოძმე სოციალისტური ქვეყნების ქალებთან, იზრდებოდეს და ფართოვდებოდეს მათი ურთიერთობა მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებთან!

ძვირფასო ამხანაგო ქალებო!

ამ საზეიმო დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გისურვებთ ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებითს წარმატებებს! სიხარული და ბედნიერება თქვენ და თქვენს ოჯახებს! პარტია და ხალხი დარწმუნებული არიან, რომ კვლავაც მთელ თქვენს ნიჭს, მთელ ძალღონეს, გულის მგზნებარებას, მზრუნველი ხელების ოსტატობას მოახმართ ჩვენი მშვენიერი სამშობლოს სამსახურს, მის განმტკიცებასა და აყვავებას!

სახელი და დიდება საბჭოთა ქალებს!

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.**

# მოგილოცავთ დღესასწაულს!



მზრუნველობითა და სიყვარულით გარემოსილი არიან ჩვენში ქალები. საბჭოთა ადამიანები მათ დიდ ნდობას უცხადებენ, ირჩევენ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში. ასეთი ნდობის მაგალითია თბილისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის № 1 სამკერვალო ფაბრიკა.

ამ საწარმოს კოლექტივიდან ერთი ქალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, ერთი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. შვიდი ქალი არჩეულია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებად და ცამეტი — მშრომელთა დეპუტატების ოქტომბრის რაიონული საბჭოს დეპუტატებად.

სურათზე: დეპუტატთა ერთი ჯგუფი — თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის მკერავები (მარცხნიდან): საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რუსუდან ციცაგი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატები ნათელა ჯიმშელეიშვილი და იზა ბეჟანიშვილი, თბილისის ოქტომბრის რაიონული საბჭოს დეპუტატი ნანა კობაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვალენტინა პისარევა. ეს ქალები სათავეში უდგანან საწარმოს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის წარმატებით დამთავრებისათვის ბრძოლაში.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

# დიდება ქალს — მშრომელს, დედას, სამშობლოს დამცველს

## საზეიმო კრება კრემლის ყრილობათა სასახლეში

**მოსკოვში,** კრემლის ყრილობათა სასახლეში 7 მარტს გაიმართა პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო დღეს.

შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ა. გრეჩკოს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, დ. ს. პოლიანსკის, ა. ნ. შელეპინს, პ. ნ. დემიჩევს, ბ. ნ. პონომარიოვს, დ. ო. უსტინოვს, ვ. ი. დოლგიხს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს.**

ბევრი რამის თქმა შეიძლება საზეიმო კრების თვითეულ მონაწილეზე. აქ არიან პირველი ხუთწლედების დამკვრელებიც **მ. გნატენკო** და **ე. ხაპუნოვა**, სოციალისტური შრომის გმირი **დ. გარმაში.** აქ არიან სახელგანთქმული მფრინავი ქალებიც — ომის ვეტერანები, საბჭოთა კავშირის გმირები **მ. სმირნოვა, ე. ნიკულინა, ა. ხუდიაკოვა.** წარჩინებულ ქალთა შორის არიან სოციალისტური შრომის გმირი, გმირი დედა, რომელმაც გაზარდა 13 შვილი, **ულბალა ალტაიბაევა** ყაზახეთიდან, სოციალისტური შრომის გმირი, გმირი დედა **კულსარა ხულაიმანოვა** ყირგიზეთიდან.

უფროს თაობათა ესტაფეტას ღირსეულად განაგრძობენ ჩვენი დღეების სახელოვანი მშრომელი ქალები. მათ შორის არის ენგელსის ქიმიური ბოჭკოს კომბინატის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი **ა. კოგაჩოვა**, რომელსაც ამას წინათ გულთბილად მიესალმა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების გამო, სოციალისტური შრომის გმირი **ვ. ოდობესკუ**, მოლდავეთის ფეხსაცმლის გაერთიანება „ზორილეს“ გამომჭრელი და წარმოების მრავალი სხვა მოწინავე.

შეკრებილებმა საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღმავლობით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

საზეიმო კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **რ. დემენტიევამ.** მან სიტყვა მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს **ბ. ნ. პონომარიოვს**, რომელმაც წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება საბჭოთა ქალებისადმი.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ კრების მონაწილენი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მისალმების გულთბილ სიტყვებს.

ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი **ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა.**

ჩვენ, საზეიმო კრების მონაწილეებმა, თქვა მან, დიდი აღფრთოვანებით მოვისმინეთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საბჭოთა ქალებისადმი. ნება მიბოძეთ თქვენი სახელით, ჩვენი ქვეყნის ყველა ქალის სახელით, დიდი, გულითადი მადლობა გადავუხადო სკკპ ცენტრალურ კომიტეტს კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ქალის როლის მაღალი შეფასებისათვის, იმ დიდი ზრუნვისათვის, რომელსაც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი ღლენიადაგ იჩენენ ხალხის კეთილდღეობისათვის, ჩვენთვის — ქალებისათვის.

ნება მიბოძეთ აღვუთქვა კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა ქალები არ დაიშურებენ ძალ-ღონესა და ცოდნას, კიდევ უფრო მეტი ენერგიით იშრომებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, თავიანთ წვლილს შეიტანენ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმების შესრულებისათვის საერთო ბრძოლაში, კვლავაც შეუპოვრად იბრძოლებენ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ჩვენი ქვეყნის ქალები, თქვა შემდეგ ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვამ, სულითა და გულით იწონებენ და მხარს უჭერენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფას, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების დამკვიდრებას.

სიტყვა ეძლევა დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაწილეს, 1917 წლიდან სკკპ წევრს **მ. ფოფანოვას.**

საბჭოთა ხელისუფლება, თქვა მან, პირველი ნაბიჯებიდანვე მშო-

(დასასრული მე-2 გვ.)

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის დაჯილდოების შესახებ**

**სამხედრო** მოსამსახურეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში დიდი მუშაობისათვის, საწარმოების, ორგანიზაციებისა და სასწავლებლების კოლექტივებთან სამხედრო ნაწილების საშეფო ურთიერთობის განმტკიცებისათვის, ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე.**

**თბილისი, 1975 წლის 7 მარტი.**

# საზეიმო სხდომა თბილისში

**საქართველოს** ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულზე თბილისში ქალთა საუკეთესო წარმომადგენლები — სოციალისტური შრომის გმირები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერების, კულტურის მოღვაწენი — სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი, დიდი სამამულო ომის მონაწილენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები. 7 მარტს ისინი შეიკრიბნენ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში საზეიმო კრებაზე.

**პრეზიდიუმში არიან ჰ. გილაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, გ. ჯავახიშვილი, თ. მოსაშვილი, შ. ყარყარაშვილი, ჟ. შარტავა, ო. ჩერქეზია,** აქვე არიან რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები—შემოქმედებითი შრომის აქტიური მონაწილენი.

სიღამოს დაესწრნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგანი ვაჭრობის მინისტრი **ამხ. იშტვან ხურდი,** სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე **ამხ. ხ. ტრიფონოვი** და მათი თანმხლები პირნი.

საზეიმო კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ქალის საერთაშორისო წლის ჩატარების რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ **გ. სირაძემ.**

ქალებს გულთბილად მიულოცეს დღესასწაული კომუნისტური პარტიის ვეტერანმა, პერსონალურმა პენსიონერმა **მ. ბურჭულაძემ,** კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ოსტატის თანაშემწემ, სოციალისტური შრომის გმირმა **ვ. ქემაშვილმა, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის** კოლმეურნეობის კოლმეურნემ, მრავალი შვილის დედამ **დ. ცივაძემ,** დიდი სამამულო ომის მონაწილემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა **გ. ჯაშმა,** ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის კოლმეურნეობის მეჩაიემ, სოციალისტური შრომის გმირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ა. ვოუბამ,** საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა **გ. ცინცაბაძემ,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **მ. ლორთქიფანიძემ, ცხინვალის რაიონის** ვანათის საშუალო სკოლის დირექტორმა **ზ. კულუმბეკოვამ,** პოეტმა **ი. ნონეშვილმა.**

საზეიმო კრების მონაწილეებმა საქართველოს ყველა ქალის სახელით დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

**კრების შემდეგ გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი საქართველოს ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით.**

**(საქინფორმი).**

# დიდება ქალს — მშრომელს, დედას, სამშობლოს დამცველს

(დასასრული)

ბლიური იყო ყველა მშრომელისათვის. და ამას განსაკუთრებით გრძნობდნენ მუშა ქალები, დედები.

ჩემს თაობას ახსოვს საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიც, პირველი ხუთწლედების ენთუზიაზმიც, ომიც, რომელიც საბჭოთა ხალხს თავს მოახვიეს ჰიტლერელმა დამპყრობლებმა, განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი დიადი გამარჯვება. ოცდაათი წელია ვცხოვრობთ, ვშრომობთ, კომუნიზმს ვაშენებთ მშვიდობის პირობებში. და სრული საფუძველი მაქვს ვთქვა: მშვიდობა დედების, ცოლების, დების დიდი ბედნიერებაა...

გადაუხადა პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მშვიდობის განსამტკიცებლად დაუცხრომელი საქმიანობისათვის.

არსად და არასოდეს მსოფლიოში ქალს არ ჰქონდა ისეთი საუკეთესო საზოგადოებრივი მდგომარეობა, როგორც ჩვენს ქვეყანაში, თქვა ჩირკასის ოლქის ტალნოეს რაიონის კოლმეურნეობა „ზდობუტოკ ჟოვტნიას“ თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ტ. გავრილოვამ. ეს მოწმობს ლენინური იდეების გამარჯვებას.

...

მა, მოსკოვის ტელევიზორის ქარხნის მემონტაჟემ ქ. გორბაჩოვამ მადლიერებით ილაპარაკა იმ დიდ ზრუნვაზე, რომელსაც პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ყოველდღიურად იჩენენ საბჭოთა ადამიანებისათვის.

ყველა საბჭოთა ქალის სახელით ქ. გორბაჩოვამ დიდი მადლობა

დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი.

## ოფიციალური განყოფილება

# ა. ნ. კოსიგინი ტიუმენის ოლქში

ტიუმენი, 6 მარტი. (საკდესის კორ.). სკკპ ტიუმენის საოლქო კომიტეტში გაიმართა ოლქის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელთა, საწარმოებისა და მშენებლობების სპეციალისტთა თათბირი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, საჭიროა დავაჩქაროთ ამ რაიონში ჩვენი ქვეყნის მძლავრი ...

...

7 მარტს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო ვაჭრობის მინისტრი იშტვან სურდი და მისი თანმხლები პირნი მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა.

საუბრის დროს გ. დ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის გულწრფელი მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობა, კერძოდ, ვაჭრობის დარგში სულ უფრო ვითარდება და მტკიცდება. მტკიცე კონტაქტები აკავშირებთ საქართველოს სს რესპუბლიკასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას. ჩვენ გამოვთქვამთ რწმენას, ხაზი გაუსვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, რომ საბჭოთა კავშირში იშტვან სურდის მეთაურობით უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის ჩამოსვლა ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის სავაჭრო გაერთიანებათა უფრო მჭიდრო თანამშრომლობას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. მან უნგრელ ამხანაგებს უსურვა წარმატებანი მათს მისიაში.

საუბრის დროს დელეგაციის წევრებს გააცნეს რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა.

იშტვან სურდიმ თქვა, რომ სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებში ასეთი ვიზიტები კარგ საფუძველს უქმნიან საბჭოთა კავშირის სავაჭრო ორგანიზაციებთან უშუალო კავშირის განმტკიცებას.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომა-...

### საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

...

ხუთწლედის 1975 დამამთავრებელი

სოციალისტური შეჯიბრების დევიზია:

მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!

# დავაჩქაროთ წარმოების ტემპი

დაიწყო ხუთწლედის გადამწყვეტი წლის მარტი. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში მზარდ შრომითს რიტმს მოწმობს მრავალი ცნობა სხვადასხვა კოლექტივის ახალი წარმატებების, საწარმოო სიმძლავრეთა ვადამდე ამოქმედებისა და ათვისების შესახებ, იმის შესახებ, ...

კმაოდ გრძელვადიანი პროგნოზებისათვის, მაგრამ სამართლიანია მტკიცება მუშაობაში მნიშვნელოვანი წარმატებების შესახებ.

ახლა, როცა დასახულია წარსულში დაშვებული ჩამორჩენის დაძლევის ამოცანა, მეტად მნიშვნელოვანი ორიენტირია პროდუქციის საშუალო-...

...

# ამბები • ფაქტები

## საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

მსოფლიო დღეს • მსოფლიო დღეს • მსოფლიო დღეს

## 1975 — ქალთა საერთაშორისო წელი

ამას წინათ ღილით რომ ვსაუბრობდი, რადიო ჩავრთე. ლაპარაკობდა ქალი, ფინეთის სეიმის დეპუტატი. იგი საუბრობდა ქალთა საერთაშორისო წელზე. დეპუტატი სულ სხვა თვალსაზრისს იდგა. ვიდრე ჩემი ვაჟი...

მდგარი და თავზე მძიმე ტვირთი ადგას, მაშინ როცა მამაკაცი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და კბილებში ჩიბუხგაჩრილი სეირნობს? რამდენად სამართლიანია, რომ, მაშინ როცა მამაკაცები შუადღის მცხუნვარე მზეს ჩრდილში ...

ვალი ომი, მასობრივი ხოცვა-ჟლეტა და ნგრევა, რთულ წინააღმდეგობათა გადაწყვეტა ქალებისათვის — ცოლებისა და დედებისათვის რომ მიენდოთ. ასე ბევრი ფიქრობს. ასე მიაჩნია ერთ-ერთ ცნობილ ინგლისელ სო-...

### უცხოელი მწერალი „კომუნისტის“ ფურცლებზე

# სიტყვა ქალებზე

...

რამდენადაც ეს სიტყვები ჩემს თავმოყვარეობას ლახავს, მინდა ყველას გასაგონად განვაცხადო, რომ მე იმ „ხმაგაკმენდილთა“ ჯგუფს არ ვეკუთვნი. იმ საკითხზე მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი, ოღონდ იცოდეთ, რომ ამას ვაკეთებ მხოლოდ ჩემი ნებით და საკუთარი ინიციატივით. ენამრუდების ყბაში რომ არ მოვხვდე, შევნიშნავ, რომ მე შინ დემოკრატია მაქვს და არა მატრიარქატი. არიან თუ არა თანასწორუფლებიანი ქალები და მამაკაცები როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში? კიდეც ჰო და კიდეც არა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ყოფნის დროს შემინიშნავს, თუ როგორ სრულ მორჩილებაში ჰყავთ ქალები მამაკაცებს. დედამიწის ბევრ რაიონში ჯერ კიდევ შემორჩენილია ქვის საუკუნის დახავსებული ტრადიციები. გულზე ხელი დაიდეთ, ჩემო ძვირფასო ძმებო — მამაკაცებო და გულწრფელად მიპასუხეთ რამდენიმე კითხვაზე. რატომ არის, რომ მსოფლიოს ზოგიერთ რაიონში 1975 წელს ქალებმა კვლავ უნდა დაიფარონ ფიზიკურად უნაკლო სახე ჩადრით? რამდენად სამართლიანია, რომ ქალი ბრინჯის ნათესების მღვრიე წყალში მუხლებამდეა ჩა-...

...პების მოძველებულ წარმოდგენათა შლეიფს და თავს იმით იმშვიდებენ, რომ ფიქრობენ: „ასე იყო ყოველთვის და ასეც იქნება“. მაგრამ ისტორიის ჩარხის შეჩერება შეუძლებელია. ამიტომ თუ შევადარებთ ქალთა მდგომარეობას მიმდინარე საუკუნის დასაწყისში და ახლა, მაშინ ადრინდელი ფრაზა „უცვლელობის“ შესახებ ახალ აზრს იძენს: „ასე იყო ოდესღაც, მაგრამ ასე აღარ გაგრძელდება“.

დროა არქეოლოგიურ მუზეუმს ჩავაბაროთ ისეთი ცნებები, როგორიც არის „სუსტი სქესი“ და „ძლიერი სქესი“. საბჭოთა ქალებმა დაამტკიცეს, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები კოსმონავტებიც კი შეიძლება გახდნენ. მართალია, ქალები და მამაკაცები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფიზიკური მონაცემებით, მაგრამ არავის აზრად არ მოუვა სერიოზულად ამტკიცოს, რომ ქალის გონებრივი შესაძლებლობანი გაცილებით დაბალია, ვიდრე მამაკაცისა. უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ ხშირად ქალები უფრო განვითარებული და განათლებული არიან, ვიდრე ჩემი სქესის წარმომადგენლები. დარწმუნებული ვარ, რომ შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა მრა-...

...სახლ-კარს, თავიანთ სამშობლოს.

მაშ რატომ იდგანან კვლავინდებურად დასავლეთის ზოგიერთ ეგრეთ წოდებულ მაღალგანვითარებულ ცივილიზებულ ქვეყანაში რეაქციულ დოგმას, ქალი მხოლოდ სახლისა და ოჯახისათვის არის შექმნილიო? რატომ არის, რომ, მრავალ საზოგადოებრივ, სამეურნეო და სამეცნიერო პოსტზე წინანდებურად ირჩევენ არა საქმიანი ნიშნისა და უნარის მიხედვით, არამედ სქესის მიხედვით?

დამიჯერეთ, რომ ის, რაც აქ დავწერე, სულაც არ არის არც მამაკაცთა, არც ქალთა გამოსაწვევად ნათქვამი. ეს მხოლოდ პასუხია ზემოაღნიშნული დეპუტატი ქალის გამოსვლაზე, რომელიც ამტკიცებდა, ქალთა საერთაშორისო დღეს ლაპარაკობენ მხოლოდ ქალები, ხოლო მამაკაცები დუმანო. ამრიგად, მე დავარღვიე სიჩუმე და გამოვთქვი ზოგიერთი ჩემი მოსაზრება. სიტყვას ვაძლევ ჩემი სქესის სხვა წარმომადგენლებს.

**მარტი ლარნი,**
ფინელი მწერალი.

ჰელსინკი.

### მილოცვა




მხატვარი შ. ლომიძე.

## ვენსტრია

# ახალი ინიციატივა

ვენა, (საკდესი). გაიმართა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკების მონაწილეთა მორიგი ...

თავის გამოსვლაში პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა ზოგადად შეაფასა ვენის მოლაპარაკების მიმდინარეობა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ უწინარეს ყოვლისა სოციალისტური ქვეყნები არიან დაინტერესებული შემცირდეს შეიარაღებული ძალები და შეიარაღება ცენტრალურ ევროპაში. ამასთან დაკავშირებით იგი შეეხო შეთანხმების პროექტს, რომელიც ოთხმა სოციალისტურმა ქვეყანამ წარმოადგინა და რომელიც ითვალისწინებს, რომ 15 პროცენტით და მეტად შემცირდეს შეიარაღებული ძალები და შეიარაღება ცენტრალურ ევროპაში.

სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის დელეგაციათა სახელით ტ. სტრულიაკმა წარადგინა მთელი რიგი ახალი დიდმნიშვნელოვანი მოსაზრებანი, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ მოლაპარაკების წარმატებულ მიმდინარეობას და დააჩქარონ არსებითი შემცირების საკითხის ურთიერთმისაღები გადაწყვეტის ძიება. ეს მოსაზრებანი ითვალისწინებენ დასავლეთის ქვეყნების პოზიციის ზოგიერთ ელემენტს.

# აშშ უ. კოლბის აღიარება

ვაშინგტონი. 7 მარტი. (საკდესი). ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აგროვებდა დოსიეს წარმომადგენელთა პალატის წევრებზე, რომლებიც ილაშქრებდნენ ვიეტნამის ომში შეერთებული შტატების მონაწილეობის წინააღმდეგ. ეს იძულებული გახდა ეღიარებინა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორს უ. კოლბის, რომელიც მოსმენაზე გამოვიდა კონგრესში.

კოლბის ჩვენებათა თანახმად, წარმომადგენელთა პალატის მთავრობის ორგანოთა საქმიანობის საგამოძიებო კომისიაში ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, კერძოდ, აქვს დოსიე წარმომადგენელთა პალატის წევრზე ბელა აბზუგზე. დოსიე შეიცავს ცნობებს, რომლებიც მიღებულია მისი კერძო მიწერ-მოწერის საიდუმლო შემოწმების შედეგად. დოსიეში შეგროვებულია აგრეთვე დოკუმენტები, რომლებიც უკავშირდება მის მონაწილეობას ომისსაწინააღმდეგო დემონსტრაციებში.

კოლბის თქმით, სამმართველოს მასალები აქვს კიდევ იმ საამერიკელი კონგრესმენის შესახებ, რომლებიც ომისსაწინააღმდეგო მოძრაობასთან იყვნენ დაკავშირებული.

## ალჟირი

# თათბირი დამთავრდა

ალჟირი, 7 მარტი. (საკდესი). ალჟირის დედაქალაქში დამთავრდა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების თათბირი.

თათბირის დახურვაზე გამოვიდა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ბუმედიენი. მან რწმენა გამოთქვა, რომ თათბირზე მიღებულ გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა ექნება ნამდვილად თანასწორუფლებიანი საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის დამყარებისათვის. ალჟირის სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ საჭიროა განმტკიცდეს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის წევრთა სოლიდარობა განვითარებად ქვეყნებთან.

ჰ. ბუმედიენმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ირანის შაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ და ერაყის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ სადამ ჰუსეინმა, რომლებიც თათბირში მონაწილეობდნენ, მიაღწიეს შეთანხმებას ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ.

## ადასტურებს პრესა

# მაოისტთა კონცეფციების სიყალბე

ვარშავა, 7 მარტი. (საკდესი). სათაურებით „მაოიზმის უგზოობა“, „შერყევათა პეკინისეული თეორია“ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „ხლოპსკა დროგამ“ გამოაქვეყნა სტატიები, რომლებშიც წერს, რომ „შერყევათა პეკინისეული თეორია, საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავების კუ-...

მაოისტები, აღნიშნავს გაზეთი, ადგანან კონცეფციას, რომლის შესაბამისად ამერიკის იმპერიალიზმი და სსრ კავშირი თანაბრად არიან ჩინელი ხალხის მტრები. საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის საყოველთაოდ ცნობილი პრინციპები, აგრეთვე მისი პოლიტიკური პრაქტიკა ამხილებს მაოისტთა ავანტიურისტული კონცეფციების სიყალბეს.

მაოისტური „თეორიები“ გამოხატულებას პოულობენ პეკინის ხელმძღვანელობის პრაქტიკაში — გამთიშველ საქმიანობაში, რომელიც მიმართულია მთელი სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ.

გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“, აღნიშნავს შემდეგ „ხლოპსკა დროგა“, ცინისმიმებლურად დაისხა თავს იარშავის ხელშეკრულებას, რომელსაც აგრესიული ორგანიზაცია უწოდა. მაშინ როცა ნატომ თითქოს ევოლუცია განიცადა და ოდესღაც აგრესიული პაქტი თავდაცვითი და თითქმის მშვიდობისმოყვარე ორგანიზაცია გახდა. როცა პეკინი თავს ესხმის ვარშავის ხელშეკრულებას და ხოტბას ასხამს ნატოს, იგი ამავე დროს კრიტიკულად ეკიდება პროგრესს უშიშროებისა და თანამშრომლობის სრულიად ევროპის თათბირის მუშაობაში, ვენის მოლაპარაკებას ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩინეთის ხელმძღვანელები გამოდიან ყოველგვარი ღონისძიების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიოს განთავისუფლებას ატომური ომის საფრთხისაგან, და აშკარად მოუწოდებენ გამალებული შეიარაღების განგრძობისათვის.

### მათი ზნე-ჩვეულებანი

# თაღლითობა ტელეფონით

ამას წინათ იაპონიაში პოლიციამ დააპატიმრა 38 წლის თაღლითი ქალი, რომელიც ბაძავდა მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი წამყვანი ფრაქციის ლიდერის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის კ. ტანაკას ხმას. თაღლითი ტელეფონით ურეკავდა მსხვილი ფირმებისა და კომპანიების მფლობელებს და მათგან „პოლიტიკურ შეწირულებებს“ მოითხოვდა. ერთი შეხედვით ძნელია ამის დაჯერება, მაგრამ ბიზნესის სამყაროს ბევრი მაგნატი ეგებოდა თაღლითის ანკესზე და მის ანგარიშზე გადარიცხავდა ხოლმე საკმაოდ დიდ თანხას, რომელიც ხანდახან ათეულ მილიონობით იენს აღწევდა.

თაღლითმა ამ გზით მოახერხა დაეგროვებინა რამდენიმე მილიარდი იენი. მან ისარგებლა იმით, რომ მსხვილ კაპიტალთან დაკავშირებული მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია ოპოზიციასთან წინასაარჩევნო შინაპოლიტიკურ ბრძოლაში ძირითადად ფულს ეყრდნობა.

წლეულს აპრილში უნდა გაიმართოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები. კანონით წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად ერთი თვის შემდეგ იწყება, მაგრამ ლიბერალურ დემოკრატიული პარტიის მომავალი კანდიდატები უკვე უკანონოდ ავრცელებენ წინასაარჩევნო ლიტერატურას, ფართოდ გაშალეს ამომრჩეველთა მოსყიდვის კამპანია. დღესდღეობით პოლიციაში უკვე რეგისტრირებულია არჩევნების დებულების დარღვევის 6 ათასი შემთხვევა, რაც ორჯერ მეტია წინა არჩევნებთან შედარებით.

გასული წლის ზაფხულში იაპონიის პარლამენტის ზედა პალატის არჩევნების დროს ბევრმა კანდიდატმა ერთ მილიონამდე იენი დახარჯა თვითეულმა. ამ თანხას ისინი მსხვილი მონოპოლიებისაგან, სამრეწველო კომპანიებისა და სავაჭრო ფირმებისაგან იღებდნენ.

ლიბერალ-დემოკრატები ერთგულად ემსახურებიან მსხვილ კაპიტალს. სწორედ ამიტომ არის, რომ ბიზნესმენები სრულიად შეუმოწმებლად, პირველი მოთხოვნისთანავე აძლევენ ფულს ამ პარტიის ლიდერებს.

ახალი ამბების სააგენტოს მასალებიდან.

# ნეტავ იმ ერს, ვისაც კარგი ქალები ჰყავს

ჩვენი სასიქადულო პოეტის აკაკი წერეთლის ეს სიტყვები ახლაც ისე ჟღერს, თითქოს დღეს იყოს დაწერილი.

ქალის ღვაწლზე, შრომასა და გარჯაზე, მისი განათლებისა და კულტურის დონეზე დიდად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი ყოფიერება-ცნობიერების მრავალგვაროვანი ასპექტი.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ბოლო მოუღო ქალთა საუკუნეობრივ მონობასა და ჩაგვრას. საბჭოთა სახელმწიფომ ქალი კანონით გაათანაბრა მამაკაცთან, მიანიჭა მას თანაბარი უფლებები სახელმწიფო, სამეურნეო, კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში. ორი წლის მანძილზე, — ამბობდა ვ. ი. ლენინი ამ მონაპოვრის შესახებ, — იმდენი გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ, რამდენიც 130 წლის მანძილზე არ გაუკეთებია მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ქვეყანას ერთად.

ქართველი ხალხის ისტორიაში ღირსშესანიშნავ მოვლენად ითვლება დელეგატ ქართველ ქალთა პირველი რესპუბლიკური ყრილობა, რომელიც 1921 წელს გაიმართა. ეს იყო საზოგადოებრივ სარბიელზე მათი მასობრივი გამოსვლის პირველი ცდა, ეს იყო მრავალჭირნახული ქართველი ქალის მამაკაცთან კანონიერი გათანაბრების უტყუარი ფაქტი.

...კლები ყოფილა. მოსახლეობის 1897 წლის აღწერით (რევოლუციამდელი რუსეთის ისტორიაში ეს იყო პირველი, და უკანასკნელი აღწერა) ქალთა ხვედრითი წილი 46,6 პროცენტს არ აღემატებოდა, ოცი წლის შემდეგ, 1917 წლისათვის კი 48 პროცენტს უდრიდა.

1930-იან წლებში გათანაბრდა საქართველოს მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა, ხოლო 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან კვლავ შეიცვალა სურათი — ქალთა ხვედრითი წილის შემდგომი გადიდების თვალსაზრისით. 1959 წლისათვის (აღწერით) სსრ კავშირის მასშტაბით ქალებზე მოდიოდა მთელი მოსახლეობის 55 პროცენტი, მათ შორის საქართველოში 54 პროცენტი.

ამ მხრივ არსებითად იცვლება სურათი. ახლა ვაჟთა მაღალი შობადობის შედეგად, მამაკაცთა რიცხვი უფრო ჩქარა იზრდება, ვიდრე ...

...წლებამდე საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის დარგებში მომუშავე ქალთა რაოდენობა მხოლოდ 19 პროცენტს უდრიდა, 1960-იან წლებში 40 პროცენტამდე გადიდდა, ახლა კი 45 პროცენტს სჭარბობს. კავშირის მასშტაბით ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია (51 პროცენტი).

სახალხო მეურნეობის რიგ დარგებში, კერძოდ, კავშირგაბმულობაში, ვაჭრობასა და განათლება-ში მომუშავეთა სამი მეოთხედი ქალებზე მოდის. ჯანმრთელობის დაცვაში მომუშავე ყოველი ასი სპეციალისტიდან 85 ქალია. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში, ისე როგორც საშუალოდ სსრ კავშირში ექიმთა საერთო რაოდენობიდან 70 პროცენტი მოდის ქალებზე (ამერიკის შეერთებულ შტატებში ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 7 პროცენტით განისაზღვრება). საკოლმეურნეო შრომაში მონაწილე ქალთა ხვე-...

...თლეა. კიდევ უფრო მაღალია განათლების მაჩვენებლები დასაქმებულ ქალთა შორის. ამ კატეგორიის ყოველი ათასი ქალიდან 700 მუშაკს აქვს საშუალო განათლება.

საბჭოთა ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მარტო ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დეპუტატად არჩეულთა შორის ერთ მესამედზე მეტი ქალებია. ისინი უფრო მეტნი არიან ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ადმინისტრაციული რაიონების ადგილობრივ საბჭოებში.

საბჭოთა მთავრობა არა მარტო ზრუნავს ქალთა შრომის გამოყენებისათვის, არამედ ახალისებს კიდეც მათ. ქვეყნის მჩქეფარე ცხოვრებასა და სახელმწიფო მართვაში მონაწილე ბევრი ქალის წარმატება აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით. საბჭოთა ქალების საზოგადოებრივ საქმიანობას კარგად უხამებენ სათ-...

...ლით მოქმედებს და უფრო სრულყოფილი ხდება მრავალშვილიანი ოჯახებისადმი მატერიალური წახალისების სისტემა. შარშან 2 მილიონ 800 ათასზე მეტ დედას ეძლეოდა ყოველთვიური დახმარება სამზე მეტი ბავშვის ყოლის გამო. გარდა ამისა, 343 ათასმა ქალმა მიიღო ერთდროული დახმარება მესამე ბავშვის შეძენისათვის.

ახლა ჩვენს ქვეყანაში ადამიანები ორჯერ უფრო მეტ ხანს ცოცხლობენ, ვიდრე რევოლუციამდელ რუსეთში. და აქაც უპირატესობა ქალების მხარეს იხრება. უფროსი ასაკის (60 წლის ზევით) ქალთა რაოდენობა თითქმის ერთნახევარჯერ სჭარბობს თანატოლი მამაკაცების რიცხვს და რაც უფრო ხანდაზმულობისაკენ მივდივართ, მით უფრო საგრძნობი ხდება ეს განსხვავება. 1970 წელს საქართველოში აღირიცხა 90-დან 100 წლამდე ასაკის 7.857 ქალი და 4.461 მამაკაცი. მაშინ ას წელს გადაცილებული ქალები (1230) ზუსტად ორჯერ სჭარბობდნენ შესაბამისი ასაკის მამაკაცებს (614).

უკანასკნელი გაანგარიშების მიხედვით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საშუალო ხანგრძლივობა 70 წლით განისაზღვრება. მათ შორის ქალებისა 74 წელია.

ქალთა საერთაშორისო წელი საბჭოთა საქართველოში, ისევე როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაში, აღინიშნება დიდი შრომითი ენთუზიაზმით საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ყველგან, სადაც ცხოვრობს, შრომობს და ახალ სიცოცხლეს ქმნის ქალი — საყოველთაო პატივისცემითა და სიყვარულით მოსილი ბედნიერი დედა.

**კ. ელიზბარაშვილი,**
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.




# შრომაშიც და ბრძოლაშიც

## 8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა

შესაძლებელი რომ იყოს ისეთი სასწორის პოვნა, რომლის ერთ მხარეზე ჩვენი ჯარისკაცების მხედრულ გმირობას დავდებდით, ხოლო მეორე მხარეზე — საბჭოთა ქალების შრომით გმირობას, ალბათ, ვერც ერთი მხარე ვერ გადასწონიდა, ვერ გადაიხრებოდა, ისევე როგორც ვერ გადახარა განსაცდელმა ქმრებთან და ვაჟიშვილებთან ერთად მწყობრში ჩამდგარი გმირი საბჭოთა ქალები.

ლ. ი. ბრეჟნევი

წელს 8 მარტს — გაზაფხულის ამ მშვენიერ, მთელი მსოფლიოს მშრომელი ქალების ერთობისა და სოლიდარობის დღესასწაულს — სულ სხვა ელფერი აქვს. — 1975 წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ქალთა საერთაშორისო წლად გამოაცხადა. ეს კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რომ ქალს თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის და უნდა ეკუთვნოდეს კიდეც. სწორედ ამ წლის მიზანია ხელი შეუწყოს ყველა ქვეყნის ქალის თანასწორუფლებიანობის მიღწევას, თავიანთი ქვეყნების ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში აქტიურ ჩაბმას, მშვიდობისათვის ბრძოლაში მათ შემდგომ გააქტიურებას.

ჩვენ სიამაყით ვამბობთ, რომ საბჭოთა კავშირში — ამ მრავალეროვნულ ქვეყანაში, — ქალის საკითხი დიდი ხანია გადაწყვეტილია. ქალის თანასწორუფლებიანობის საკითხი იმ მნიშვნელოვან პრობლემათა რიცხვში შედიოდა, რომელსაც ლენინური პარტია, საბჭოთა ხელისუფლება სახავდა თავისი არსებობის დასაწყისიდანვე. ვ. ლენინი აღნიშნავდა, რომ „პროლეტარიატი ვერ მიაღწევს სრულ თავისუფლებას, თუ არ მოიპოვა სრული თავისუფლება ქალებისათვის".

რევოლუციის ბელადი ზრუნავდა იმისათვის, რომ ქალებს თავიანთი ნიჭი, ძალა, უნარი მოეხმარებინათ ახალი სამყაროს აშენებისათვის. მართლაც გამხდარიყვნენ საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრები.

ამიტომაც საბჭოთა სახელმწიფო ასე მხურვალედ გამოეხმაურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ გადაწყვეტილებას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ქალის საერთაშორი-

ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა, სოციალისტური შრომის გმირი ზოია პუხოვა, საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკი ლიზა ტინელი და ურალელი მუშა ნინა ნოვოსიოლოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გამოდიან, მათი სიტყვა ისეთივე შთამბეჭდავი, საქმიანი და დამაჯერებელია, როგორც კაცებისა, რომელთა მხარდამხარ ისინი ილვწიან ჩვენი დიადი სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ასევეა ჩვენთანაც, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ხუთი ქალია, და ეს ციფრი ბევრისმეტყველია. ხალხი ქალებსაც ისევე ანდობს ცხოვრების საჭეს, როგორც კაცებს. რაოდენ საამაყოა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მოწინავე ქალებისათვის — თამარ ყუფუნიას, თამარ თავაძის, რუსუდან ციცაგისა და საქართველოს პროფესიული კავშირების მდივნის — რუსუდან ჯაფარიძისათვის, რომ ხალხმა მათ დიდი ნდობა გამოუცხადა, თავის რჩეულად წარმოგზავნა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, აქ კი რჩეულთა რჩეულნიც გახდნენ.

ისევე როგორც ჩვენს დიად სამშობლოში, ჩვენს რესპუბლიკაში ქალებს მნიშვნელოვანი პარტიული და სახელმწიფოებრივი პოსტები უჭირავთ. მათი სახელი საქვეყნოდ არის ცნობილი. დიდია ქალების როლი მართლმსაჯულების ორგანოების მუშაობაში. სახალხო მსაჯულთა თითქმის ნახევარს ქალები შეადგენენ. ქალები ყველგან არიან, მათ ყველგან გამოიჩინეს თავი სასახელო საქმეებით.

ქართველმა ნიჭიერმა ქალებმა სახელი მოიხვეჭეს მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების ფრონტზე. იდეურად და მხატვრულად სრულფასოვანი მათი ქმნილებები, მათი ღრმამეცნიერული გამოკვლევები საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრების ოქროს ფონდშია შესული.

ახლა, როცა დიდ სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის გამარჯვების 30-ე წლისთავისათვის მზადება და წლევანდელი წლის ქალის საერთაშორისო წლად გამოცხადება ერთმანეთს დაემთხვა, ახლა, წლევანდელ 8 მარტს საბჭოთა ქალების მკერდზე განსაკუთრებული ელვარებით ბრწყინავს ორდენები და მედლები, რომლებიც მათ ბრძოლის ფრონტზე მამაკაცების მხარდამხარ სისხლის ფასად მოიპოვეს. მრავალი ქალი, ექიმი თუ მედიცინის და, უკანასკნელ იმედად, მხსნელად და სიხარულადევლინებოდა დაჭრილ საბჭოთა მეომრებს. ჩვენ ვამაყობთ, რომ მათს რიგებში ქართველი ქალებიც არიან.

საბჭოთა სახელმწიფო დიდად ზრუნავს ქალებისა და ბავშვებისათვის, მათი შრომისა და ჯანმრთელობის პირობებისათვის. ჩვენი სახელმწიფო დახმარებას აძლევს ნაკლებად უზრუნველყოფილ ბავშვებს, მრავალშვილიან დედებს.

ბევრმა პატრიოტმა დედამ „გმირი დედის" მედლით დაიმშვენა მკერდი, ბევრმაც საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებით დაიდაფნა სახელი. მარტო ჩვენი რესპუბლიკიდან 2.828 ქალი გმირი დედის საპატიო წოდებით ამაყობს, 401 ქალი სოციალისტური შრომის გმირია.

წლევანდელი სარვამარტო ზეიმი კიდევ იმით არის განსაკუთრებული და საყურადღებო, რომ იგი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. იგი მაშინ მიმდინარეობს, როცა ჩვენი რესპუბლიკა გადაჭრით გმობს უკანასკნელი წლების მანკიერ მოვლენებს, ასწორებს შეცდომებს, მტკიცედ დგას სინდისიერებისა და პატიოსანი შრომის გზაზე, დაუღალავად იბრძვის ხუთწლედის დამაგვირგვინებელ წელს ახალ-ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილე ქალები — ფაბრიკებისა და ქარხნების წარჩინებული მუშები, საკოლმეურნეო მინდვრებისა და ზვრების, პლანტაციებისა და ნარი-

# მომავლის აკვანთან

ზინაიდა კვაჭაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ხო წლის ღირსეულად ჩატარების თაობაზე საგანგებო დადგენილება მიიღო. შეიქმნა მეტად ავტორიტეტული კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან სახელმწიფო მოღვაწენი და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თუ ეს წელი ჩვენს ქვეყანაში ხელს შეუწყობს ქალის საკითხის გადაწყვეტაში ისტორიული მიღწევების ფართოდ გაშუქებას, კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყნებში ჯერ ისევ ბრძოლაა ქალის ემანსიპაციისათვის.

როცა 1975 წლის შემოდგომაზე საპარლამენტო კავშირის 62-ე კონფერენციაზე საგანგებოდ განიხილება ქალის შრომისა და დედის უფლებების დაცვაში პარლამენტების როლის საკითხი, კონტრასტი სოციალისტურ და სხვა ქვეყნებს შორის უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოჩნდება. რევოლუციამდე დაბეჩავებული, დამცირებული ქალი დღეს ჩვენთან ქვეყნის გამგებელი და ბატონ-პატრონი გახდა.

„პარტიის მიზანი ის არის, — თქვა სკკპ XXIV ყრილობაზე ამხ. ლ. ბრეჟნევმა, — რომ საბჭოთა ქალს მიეცეს ახალი შესაძლებლობები, რათა აღზარდოს ბავშვები, უფრო მეტი მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დაისვენოს და ისწავლოს".

ყოველივე ამისათვის კი ქალს ჩვენს ქვეყანაში საუკეთესო პირობები აქვს შექმნილი.

საბჭოთა ქალი პოლიტიკურ ასპარეზზე მამაკაცის თანასწორია. ამჟამად სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ 1.517 დეპუტატიდან 475 ქალია, ხოლო მარტო

ქალები არჩეული არიან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და ამ საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეთა მოადგილეებად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად, — როცა ისინი, — პირველი კოსმონავტი ქალი, საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე

ყველა მშრომელთან ... ლნი დგანან უკეთესი ...

ძვირფასო ქალებო, — — გილოცავთ ქალთა ... ულის 65-ე წლისთავს ... ახალ გამარჯვებებს ჩვ... კეთილდღეოდ.



თბილისის № 36 პროფტექნიკური სასწავლებლის ფილიალის ფრიადოსანი კომკავშირელი ჟუჟუნა შეთეკაური.

ხ. კილაძის ფოტოპლაკატი.

# ვაჟკაცთა გვერდით

## ტყიბულელ გამამდიდრებელთა საქმეები




ტყიბული. (საქ. კორ.). ფაბრიკა გიგანტს უწოდებენ ქვანახშირის ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკას. რესპუბლიკის ეს სამთო საწარმო საკოქსე კონცენტრატით ამარაგებს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას. გამამდიდრებლებს გადაწყვეტილი აქვთ წელს გამოუშვან 306.500 ტონა კონცენტრატი, რომლის ღირებულება 100 მილიონ მანეთს შეადგენს.

მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან ქალებიც, რომელთა რიცხვი 250-ს აღწევს. ყველა იცნობს ენთუზიასტს, სკკპ წევრს, ტრანსპორტიორის მემანქანეს ეკატერინე ბოჭორიშვილს. იგი 8 წელზე მეტია ტრანსპორტიორის პულტთან დგას. სახელოვანი ქალი მუშაობას კარგად უთავსებს პარტიულ-საზოგადოებრივ საქმიანობას, იგი პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრია.

ფაბრიკის კოლექტივში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს შრომის ვეტერანი თინა გვენეტაძე, რომელიც ტექნიკური კონტროლის განყოფილების საკოქსე კონცენტრატის ხარისხის განმსაზღვრელ ბრიგადას ხელმძღვანელობს. იგი 21 წელია ამ საქმეს ემსახურება და თავი არასდროს შეურცხვენია.

კარგი სახელი მოიპოვეს დამკვრელებმა მემატორე ლია ჯოხაძემ, ქვანახშირის მრეცხავებმა ნინა ჭიჭინაძემ, ნინო აბესაძემ, ნარგიზა ბოჭორიშვილმა. ფაბრიკის დისპეტჩერის საპატიო მოვალეობას ჩინებულად ართმევენ თავს ინჟინრები მერი ნამრიკაშვილი, მანანა ბარბაქაძე, ლილი ცირეკიძე, ეთერ ბარბაქაძე.

## საბჭოთა ქალები: ციფრები და ფაქტები

საბჭოთა კავშირში 134,6 მილიონი ქალია, ანუ მთელი მოსახლეობის 53,7 პროცენტი.

☐

სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ყოველი 100 მუშა-მოსამსახურიდან 51 ქალია. უკანასკნელ ოცდაათ წელიწადში მომუშავე ქალთა რიცხვი სამჯერ გაიზარდა და 1974 წელს 51,2 მილიონს მიაღწია.

ამჟამად ყველა შრომისუნარიან ქალთა 96,5 პროცენტი მუშაობს ან სწავლობს.

☐

სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან დარგებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა შორის ქალები შეადგენენ: მრეწველობაში — 49 პროცენტს, სოფლის მეურნეობაში — 44, ჯანდაცვასა და სოცუზრუნველყოფაში — 85, განათლებასა და კულტურაში — 73, სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის აპარატში — 63 პროცენტს.

☐

მომუშავე ქალთა და მამაკაცთა შორის იმ პირთა რიცხვი, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო განათლება აქვთ, პრაქტიკულად თანაბარი გახდა. სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ყოველი ათასი ქალიდან უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს 739-ს, მამაკაცთა შორის — 737-ს.

ქალები შეადგენენ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა 50 პროცენტს და ტექნიკუმის მოსწავლეთა 53 პროცენტს. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე ყოველი ხუთი სპეციალისტიდან სამი ქალია.

☐

ჩვენს ქვეყანაში ყოველი ხუთი მეცნიერი მუშაკიდან ორი ქალია. მთლიანად მათი რიცხვი კი 440 ათასს შეადგენს. ოცი წლის წინათ მათი რაოდენობა 59 ათასი იყო.

4 ათას ქალს მინიჭებული აქვს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 80 ათასზე მეტს — კანდიდატის ხარისხი. 2,2 ათასი ქალი აკადემიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და პროფესორია.



თბილისის № 51 საშუალო სკოლის პიონერები შეხვედრაზე სამამულო ომის ვეტერანებთან. (მარცხნიდან): თ. მელიქიშვილი — ყოფილი ლეიტენანტი-მფრინავი, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს თანამშრომელი; ქ. ასპისოვა-შატილოვა — სამედიცინო სამსახურის კაპიტანი, რესპუბლიკური თვალის სნეულებათა დისპანსერის ექიმი; ე. ჩხიკვიშვილი, სამედიცინო სამსახურის კაპიტანი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი; ნ. სერებრიაკოვა — სამედიცინო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი, პენსიონერი; მ. მუშკუდიანი — უფროსი ლეიტენანტი, სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის დოცენტი; თ. შარაშიძე — სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტი, პედიატრიის ინსტიტუტის ექიმის თანაშემწე; გ. ჯაში — სამედიცინო სამსახურის კაპიტანი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი; ე. შურღაია — სამედიცინო სამსახურის კაპიტანი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი; ვ. კოვალევსკაია-კობახიძე — გვარდიის სერჟანტი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს რესპუბლიკური სამშენებლო სამმართველოს მდივანი-მემანქანე.

ხ. კილაძის ფოტო.

# ფარაჯიანი დღეები



## ასე იბრძოდნენ, ასე შრომობენ

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ბრძოლებში ჩვენი რესპუბლიკიდან 16 ათასი ქალი მონაწილეობდა. ისინი იბრძოდნენ მოსკოვთან, ლენინგრადთან, სტალინგრადთან, კურსკთან, ორიოლთან, სევასტოპოლთან, ჩრდილოეთ კავკასიაში, ყირიმში, ბერლინში, პარტიზანულ რაზმებში...

საბჭოთა საქართველოს ღირსეული ქალიშვილები ფრონტებზე სამხედრო დანაყოფებში და დივიზიებში ასრულებდნენ ექიმებისა და ექთნების, მესანგრეებისა და მზვერავების, მფრინავებისა და მეკავშირეების, არტილერისტების, მეზენიტეებისა და პოლიტმუშაკთა საპატიო მოვალეობას.

ამ წერილში გვინდა რამდენიმე მათგანზე ვისაუბროთ

მარიამ მუშკუდიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ აქვე ფაკულტეტზე დატოვეს. იგი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის ემზადებოდა, მაგრამ ომმა მასაც დროებით შეუცვალა პროფესია, სამშობლოს განსაცდელში ყოფნამ კალმის ნაცვლად ხელში შაშხანა აიღებინა და ფარაჯაში გამოწყობილი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის შვილებთან ერთად სამშობლოს ამაყ დამცველთა რიგებში ჩააყენა. მარიამმა ჯერ პოლიტხელის მოკლევადიანი კურსები დაამთავრა და საარტილერიო ბატარეის კომისრად დაინიშნა. პატრიოტი ქალი სწრაფად დაეუფლა საარტილერიო საქმეს და მარტო პოლიტმომზადებისა კი არა,

...ლიყო. და დაიღუპებოდა კიდეც შემთხვევით რომ არ ეპოვნა დაზვერვაზე მყოფ ტანკისტ შოთა ძიძიგურს.

ერთ-ერთ საბრძოლო ფრენის დროს ტურიაშვილის თვითმფრინავს მტრის „მესერშმიტი" აედევნა. ლიზამ თავისი თვითმფრინავი დაბალ ფრენაზე გადაიყვანა.

...ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

მტერზე გამარჯვების საქმეში ღირსეული წვლილი აქვს შეტანილი ამბროლაურის რაიონ სოფელ ხონჭიორის მკვიდრს ლოლა ბუაძეს. ომმა მას სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მოუსწრო. ლოლა სამშობლოს ამაყ დამ...

დროს სამშობლოს განთავისუფლების ბრძოლებში პირნათლად მოიხადეს ვალი და ქალის მანდილის ღირსებაც დაიცვეს. ასეთები მართლაც რომ ბევრნი არიან. მათ შორის გვინდა დავასახელოთ: ...

# ქართველი პოეტი ქალები ხუთწლედს

## ახალი ლექსები

### მის უკვდავ ხელებს

ნელი გაბრიჩიძე

სიცოცხლევ ჩემო, არსო მაღალო,
ბალახის ძარღვო, ბაღო კუნელის,
მხოლოდღა ვფეთქავ, როგორც ბახალა,
და ყვითელ ნისკარტს მივსებს სურნელი,
რომლითაც დამხვდი დაბადებისას,
რომელსაც უხვად ჩამატან მერე...
პოი, ღელეთა აქაფებისას
ჩითის საკაბე რამდენხანს ვკერე.
თავს გაწონებდი და ნეტარებით
მათრობდა წიფლის კრიალა კანი,
ვერ დაგახარჯე მაინც თვალები,
ვერ გაგიზომე, მამულო, განი.
ჩემზე უნაზეს სიმღერებს იტყვის,
ცათამბჯენებზე ქალი რომ ილტვის,
ან მეფოლადე, ხუთწლედის გმირი,
ასე ალალი და სიტყვაძვირი.
მყავს დანახული ტკივილის ფასად
ვაჟკაცი, მძლავრი და შემართული,
და ნიკორწმინდის დახვეწილ ფასადს
მაგონებს მისი სახე ქართული.
მშობელი მიწის სიმღერა მძლავრი
მის კეთილშობილს ანათებს ნაკვთებს,
და ვერ ჩაუვლის გულგრილად მგზავრი,
ზვრებში იმხელა სინათლეს ანთებს.
რა ხვედრს მარგუნებს პატარა წიგნი,
ვიცი, უკვალოდ მამულს ჩავუვლი,
მაგრამ არ დარჩეს ხატება იგი,
მგონია დიდი დანაშაული.
თანამედროვე, რწმენით რომ მავსებს,
ვგრძნობ, უჩემოდაც მიაღწევს მიზანს,
მაგრამ ვუმღერებ ჟამიდან ჟამზე
თავშეკავებულ სინაზეს მისას.
მის უკვდავ ხელებს და ძლიერ ფილტვებს,
მის ხმას, შემზარავს შინაგან ლმობით,
არა თვინიერს და არა ფიტულს,
არამედ ცოცხალს მტრობით და ძმობით.
ვინც იმ სამკუთხა ბარათებს წერდა,
ვინც ფერფლად იქცა, ვიმღერებ მათთვის,
ვინც თავის მხრებზე დაიდგა მცხეთა,
და გზა გაკვალა სამყაროს მართვის.
ვამბობ ოქტომბერს, ვამბობ ობელისკს,
და განახლების ვიხსენებ ექოს,
ახლა ის გმირიც, ცოცხლობს რომელიც,
ჰგავს შემოდგომით ანთებულ ბექობს.
და ისე მავსებს სახება მისი,
რომ მინდა ლექსი შევკადრო რიდით.
ის მებრძოლია დიდების ღირსი,
და მრისხანება სჩვევია მშვიდი.
ო, ჩემს მიწაზე მუხლმოდრეკილი
ვდგავარ და ლოცვა მეტი არ ვიცი,
მსურს გახდეს კაცი ისე კეთილი,
ვით ალავერდი და სამთავისი.
ჰქონდეს გონება დახრილი ვაზის,
კალოთა სიბრძნე, სითბო ურმულის;
ნუ ვეყვარები, ოღონდაც ჯამზე
ზოგჯერ მარცვალი დათესოს პურის.
მსურს გავიოცოთ ერთად რუსთველი,
ღამე ვუთიოთ ვარსკვლავებს მეტყველთ.
ო, მქონდეს ძალა — ენით უთქმელი
მადლიერებაც გამოვთქვა ერთხელ.

მთვარისა კერესელიძე

### მეამაყება

ვადიდებთ მცხეთას,
ვაქებთ ზარზმას,
ვაღმერთებთ ხახულს.
აღარ ვუჯერებთ
ერთხელ ნახულს,
ათასჯერ ნახულს!
იქნებ ზედმეტად კირითხუროს
ვუქებთ ხელობას,
და ვერ აღვიქვამთ
ისე ნათლად დღევანდელობას!
და ეს წარსული, ვით ლინზაში
გამტყდარი სხივი
თვალს გვჭრის,
ბრჭყვიალებს,
და ხავსიან კედლებში კივის.
. . .
მაგრამ
შეხედეთ ვით მაღლდება
რუხის კედლები
ამაყდებიან ძველი მხედრებიც,
როს სადღეისოს კირითხუროს
ვუქებთ ხელობას,
ან მთელის ძალით რომ
ვუმღერით
დღევანდელობას.
მაშინ
წარსულიც, ვგრძნობ ილვიძებს,
ჩვენი წარსული,
ძველი ურმულით და ხავსიან
გზებით წასული.
. . .
თუმცა ჩირად ღირს თავის ქება,
მეამაყება
ჩვენი კოლხეთი, მადნეული,
და ეს ენგური,
მზედ რომ მეგულვის,
იმ ვაჟკაცთა ნახელავია.
მე ვით აღვნუსხავ სადღეისო
საქმეთ მრავლობას...
მაგრამ ვიცი, რომ ამ შენებით,
ამ მიღწევებით,
უეჭველია
იამაყებს შთამომავლობა!

ლილი ნუცუბიძე

### ეპეუღს

გვეძახის მთა და მდელო,
ველზე სიო დაჰქრის,
ვადიდოთ საქართველო
არა სიტყვით, საქმით!

მზად ვართ მამულისათვის
სიცოცხლე რომ გვთხოვოს,
სიყვარული მხოლოდ,
ერთგულება მხოლოდ,
თავგანწირვა მხოლოდ!

კაცი კაცითა ქვეყნად,
ვამბობთ, ათასჯერ
გვითქვამს,
კაცი კაცითა ქვეყნად,
მამული კაი ყმითა!

შორეული გმირების
გულისფეთქვა გვესმის,
საიმედოდ ბუბუნებს
სამამულე ფესვი.

ვუხმობ მამულიშვილთა
დაუღალავი ამქრით,
ვადიდოთ საქართველო,
არა სიტყვით, საქმით!

ნერგმა უნდა იხაროს,
ვაზმა უნდა იყაროს,
ხნული გასატანია,
მზესთან ასატანია
საუკუნის სუნთქვა,
საქართველო გვეძახის.
საქართველო გვიხმობს
და ჩვენი სიყვარული
მხოლოდ საქმით ვუთხრათ!

ქ. ქუთაისი.

## გმირი დედა



# შვილები

ქებათა ქება მრავალშვილიან
დედას ლოლა ზარანდიას

I

დაკარგულო საფლავებო,
ალმართულო სტენდებო,
ელდით დაბერებულებო,
მამებო და დედებო,
სახელიან ვაჟკაცების
უსახელო მალლობო,
ომის წლებით და შიმშილით
წართმეულო ბალღობავ,
სანგრევებში ჩამარხულო
ფიქრებო და დარდებო,
კიბეებზე ამოსულო
ბალახო და ბარდებო,
ერთი ეზოს ოცი ბავშვი,
მათი ჟივილ-ხივილი,
მალამოა ყველა თქვენი
წუხილის და ტკივილის.
წაქცეულო ლობეებო,
დაქცეულო ნალიავ,
ყველა ერთი შვილის დედას
ჩვენი ქვეყნის ვალი აქვს.

II

ოცი შვილი
ახალი
ოცი ხაზლის ჭერი,
ოცი შვილის სიცოცხლე—
ეს ადრე თუ გვიან:
ოცით მეტი მოყვარე
და ნაკლები მტერი,
ქვეყნის ოცი კედელი,
მტრისთვის ოცი ტყვია.
დრო იქნება შენების,
თუ დღეები მკაცრი,
მზად არიან სამშობლოვ,
შენდა სამსახურად:
ზარანდიას ოჯახის
ოცი ჯარისკაცი,
ზარანდიას ოჯახის
— ოცი კირითხურო.

III

ჭინდვრებო და მთებო,
გასაუვანო არხო,
ჭესო ასაგებო,
მიწავ სამოსახლოვ,
წალკოტო თუ ხვატო,
მოყვარევ თუ მტერო,
ფრესკავ დასახატო,
ლექსო დასაწერო.
მათი გულიც, თავიც,
არის თქვენი წილი,
ფიქრითა თუ მკლავით,
ფუნჯითა თუ წიგნით,
წერაქვით თუ შიმშით,
კალმითა თუ თოფით.
დანთხეული სისხლით,
თუ დაღვრილი ოფლით.

IV

მეტი შვილი
ეს მეტი რუხთავი
და სამგორი,
მეტი შვილი
ეს მეტი მთქმელიცა
და გამგონეც.
მეტი შვილი
ეს მეტი — მამულისთვის
გული ძგერს,
მეტი ბუხაიძე და
მეტი ხერხეულიძე
მეტი შვილი
ეს მეტი მარუხი და ანისი,
მეტი შვილი
— ნაკლები
მარაბდა და კრწანისი!

**ნოდარ ჯალაღონია.**

• • •

სურათზე: ჩვიდმეტი შვილის დედა კოლმეურნე ლოლა ზარანდია თავისი ოჯახით (ს. საჯიჯაო, ხობის რ.).

# კეთილი სახელი



რას მოგვითხრობენ ძველი რვეულები

**გოგონამ** მოკრძალებულად დამიწყო მაგიდაზე ორი კიდეებ-შემოქერცლილი, ძველი რვეული და ზემოდან დადო გაზეთ „კომუნისტის" 1973 წლის 29 აგვისტოს ნომრიდან ამოჭრილი სტატია სათაურით „იალბუზის მიმართულებით".

სტატიაში წითელი ფანქრით გახაზულ სტრიქონებს თვალი უნებურად გადავავლე: „ჯერ კიდევ 5 ნოემბერს დაიწყო 392-ე დივიზიის გადასვლა დონღუზ-ორუნზე. დივიზიის შემადგენლობაში იყვნენ მედდები ცხინვალიდან ტაია ბორჩაკოვა და მარიამ მეტრეველი. ამ ორმა ქალიშვილმა 40-მდე დაჭრილი გადაიყვანა დონღუზ-ორუნზე.

მედსანბატს მეთაურობდა ქუთაისელი ექიმი სამსონ მეტონიძე"....

გოგონას გაკვირვებით შევხედე, არ ვიცოდი რას მოითხოვდა ჩემგან.

— მარიამ მეტრეველი დედაჩემი იყო,—თქვა მან ნაღვლიანად, — ეს რვეულები კი მისი ომისდროინდელი ჩანაწერებია.

შემდეგ გოგონამ ძველი წერილებიც ამოიღო ჯიბიდან.

— ეს წერილები კი დედაჩემის ყოფილმა თანამებრძოლებმა და ექიმებმა გამოუგზავნეს მამაჩემს.

...გორის რაიონის სოფელ ზემო ნიქოზში დაიბადა მარიამ მეტრეველი. სოფლის შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ქალიშვილმა თბილისის მეორე საფერშლო სკოლას მიაშურა, რომელიც 1940 წელს დაამთავრა და მუშაობა დაიწყო ცხინვალში, ბავშვთა სანატორიუმში მედდად.

საბჭოთა ქვეყნის ცაზე ომის ღრუბლები წამოიშალა და 18 წლის ქალიშვილი მარიამ მეტრეველი 1942 წელს სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.

ორი ათეული წლის წინ ნაწერი დღიურები ნათლად გვიხატავენ ომის საშინელებას, ფაშისტ დამპყრობელთა მხეცობას და საბჭოთა ადამიანების უტეხ სულს, სამშობლოსათვის თავდადებას.

მარიამ მეტრეველი მტერს პირისპირ პირველად ქალაქ მახაჩკალის მიდამოებში შეხვდა, შემდეგ კი ბრძოლებმა გადაინაცვლა ჩრდილოეთ კავკასიის ბაქსანის ხეობაში, სადაც მოქმედებდა 392-ე ქართული მსროლელი დივიზია და მტერს შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა.

მარიამ მეტრეველი საველე ჰოსპიტალში ყველაფერს აკეთებდა, რათა საბჭოთა მეომრების სიცოცხლე ეხსნა საკუთარი სი-



ცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით: მეომრისა და მედდის მოვალეობის თავდადებით შესრულების გარდა ქალიშვილი საკუთარ სისხლს აძლევდა სასიკვდილოდ განწირულ დაჭრილ ჯარისკაცებს, რომ მათთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა.

1942 წლის ოქტომბრის მიწურულს 392-ე ქართულ დივიზიას მტერი ალყის შემორტყმითა და განადგურებით დაემუქრა. გაათრებული ცეცხლის რკალს უფრო ამჭიდროებდა მის ირგვლივ. წინ ვერაგი მტერი იყო, უკან მრისხანე თოვლით დაფარული კავკასიონი. სწორედ ამ დროს უმაღლესმა მთავარსარდლობამ დივიზიის მეთაურად დანიშნა პოლკოვნიკი გიორგი ყუფარაძე, რომელსაც დავალება მიეცა, რადაც უნდა დასჯდომოდა, 392-ე დივიზია თავისი სამხედრო ტექნიკით უკლებლად კავკასიონის გაუვალი მწვერვალებით სვანეთში გადმოეყვანა.

მტრის გამუდმებული ცეცხლის ქვეშ მამაცი და ნიჭიერი მეთაურის ხელმძღვანელობით დივიზია შეუდგა ლეგენდარული გადასვლის განხორციელებას.

სამი დღის შემდეგ დივიზიამ შეძლო მრისხანე დონღუზ-ორუნის გადალახვა და სვანეთში ჩასვლა.

ამ გადასასვლელის წარმატებით გადალახვაში და მრავალი საბჭოთა მეომრისათვის სიცოცხლის შენარჩუნებაში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ქართველმა ქალიშვილმა მარიამ მეტრეველმაც.

392-ე ქართული დივიზიის ყოფილი წამყვანი ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ბაბუხადია შემდეგ წერდა მარიამ მეტრეველზე: „იგი ჩვენ კოლექტივთან ერთად მონაწილეობდა ბრძოლებში ჩრდილოეთ კავკასიაში და ჩვენთან ერთად გადმოვიდა გადასასვლელზე. მარიამ მეტრეველი იყო თავისი სამშობლოს და ერის ბრწყინვალე ქალიშვილი. მან არა ერთ დაჭრილ მებრძოლს და ოფიცერს აღმოუჩინა სამედიცინო დახმარება და შეუნარჩუნა სიცოცხლე, მან დიდი სამსახური გაუწია დაჭრილ მებრძოლებს მწვერვალზე გადასვლის დროს:

ჩემს მაგივრად გადაეცით მარიამის ქალიშვილს, რომ მას ჰყავდა სახელოვანი დედა, რომელმაც ვაჟკაცურად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე და შეუძლია ყოველთვის და ყველგან იამაყოს ძვირფასი დედის სახელით".

ომისგან დაღდასმულმა ჯანმრთელობამ ნაადრევად უმტყუნა მას: მარიამ მეტრეველი გარდაიცვალა 1971 წელს ახალციხის რაიონის სოფელ მინაძეში, დარჩა მეუღლე და ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც სათუთად ატარებს გულში საყვარელი დედის საამაყო სახელს.

**შ. არაბული.**

• • •

სურათზე: მარიამ მეტრეველი (მარცხნიდან პირველი) ფრონტელ ამხანაგებთან. გადაღებულია 1943 წელს.

იმ ქარიშხლიან დღეთა მოსაგონებლად

## საჭადრაკო ქალაქი

# კაისას მფარველობით...

„მერანის" დღევანდელი გამოშვება ქალთა ჭადრაკს ეძღვნება და უპირატესად საინფორმაციო ხასიათს ატარებს, რათა ზოგადად თვითონ მკითხველებმა შეაფასონ მშვენიერი სქესის ღვაწლი საერთო საჭადრაკო კულტურის განვითარებაში.

ᲘᲪᲘᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ:

● **ᲒᲐᲡᲣᲚᲘ** საუკუნის უნიჭიერეს მოჭადრაკე ქალად ითვლებოდა ცნობილი გერმანელი მოჭადრაკეების ლუი და ვილფრიდ პაულსენების და — ამალია ლელმანი (1831-1869), რომელიც ოსტატის ძალით თამაშობდა.

● **ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ** ხელოვნების ისტორიაში განუმეორებელი მოვლენაა ინგლისელი ედიტ ბერდი (1859-1924), რომელიც ღირსეულ მეტოქეობას უწევდა კონკურსებზე მამაკაც პრობლემისტებს და, რომ მან გამოაქვეყნა 1000-ზე მეტი (!) ამოცანა.

● **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ** საერთაშორისო ტურნირი ქალთა შორის 1897 წელს გაიმართა ლონდონში, სადაც მონაწილეობდა ევროპის და ამერიკის ქვეყნების 20 წარმომადგენელი. პირველი ადგილი დაიკავა ინგლისელმა მერი რეჯმა, რომელმაც 18 პარტია მოიგო და მხოლოდ ერთი დაამთავრა ყაიმით.

● **ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ** პიონერი-ქალია ა. ხელვიგი, რომლის ამოცანები თვითშამათზე (კომპოზიციის ზღაპრული ჟანრი) დაბეჭდილია გერმანელი თეორეტიკოსის მ. ლანგეს მიერ 1862 წელს გამოცემულ ამოცანების კრებულში.

● **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ** კონკურსი პრობლემისტ ქალებს შორის 1901 წელს მოაწყო ინგლისურმა ჟურნალმა „გართობის საათი", სადაც აბსოლუტური გამარჯვება მოიპოვა ე. ბერდმა.

● **ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ** მამაკაცთა ორი სიმბოლური საჭადრაკო კლუბი: „ვერა მენჩიკის სახელობისა" და „ნონა გაფრინდაშვილის სახელობისა". ამ კლუბების წევრებად არჩეულნი არიან მხოლოდ ის მოჭადრაკეები, რომლებმაც განსაკუთრებით „გამოიჩინეს თავი" მათთან შეხვედრებში.

● ალბათ ჭადრაკი ასე კარგად ვერ განვითარდებოდა, მას რომ არ „მფარველობდეს" ქალღმერთი კაისა!

ზემოთ მოყვანილი ცნობების პარალელურად უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით, თანამედროვე ჭადრაკის სამყაროში ქალების როლი პრაქტიკულ თამაშში გაცილებით დიდია, ვიდრე საკომპოზიციო ხელოვნებაში. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ „საჭადრაკო ემანსიპაცია" სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, სავარაუდოა ქალთა აქტიურობის გაზრდა კომპოზიციის სფეროშიც.

გთავაზობთ ალმა-ათელი პედაგოგის, ცნობილი საბჭოთა პრობლემისტი-ქალის ელენე პეპელაევას სამსვლიან ამოცანას, რომელიც მსუბუქი ფორმითა და მოხდენილი თამაშით იპყრობს ყურადღებას.

**Ე. ᲞᲔᲞᲔᲚᲐᲔᲕᲐ, 1958**

შამათი 3 სვლაში



ველით თქვენს ამოხსნებს, მეგობრებო!

**ვ. ნეიძე.**

# ასე თამაშობს გოგონა

**ᲐᲡᲔᲗᲘ** სათაურით გამოაქვეყნა პრაღის გაზეთმა „ჩესკოსლოვენსკი სპორტმა" წერილი ნიჭიერ ქართველ მოჭადრაკე მაია ჩიბურდანიძეზე. წერილის ავტორია საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სპორტის დამსახურებული ოსტატი იაროსლავ შაიტარი.

შაიტარი წერს, რომ 1974 წლის მანძილზე ქართველმა გოგონამ გასაოცარ წარმატებებს მიაღწია, მოიპოვა საერთაშორისო ოსტატის წოდება და 5-7 ადგილები გაიყო საკავშირო ჩემპიონატში. თუ მის ასაკს გავითვალისწინებთ, ეს დიდებულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

შემდეგ შაიტარს მოჰყავს მაიას პარტია მოსკოველ ბახრეხთან, რომელიც გოგონამ მისთვის დამახასიათებელი შემტევი სტილით წარმართა. გამოცდილ ექსპერტს განსაკუთრებით მოსწონს ჩიბურდანიძის მე-13 სვლა, რითაც მან დაამტკიცა, რომ ღრმად ჩასწვდა პოზიციის საიდუმლოებას და 22-ე სვლა, რაც ნორჩი ოსტატის მახვილ ტაქტიკურ ხედვაზე მეტყველებს.

ჩვენც გადავხედოთ ამ პარტიას, რომელიც მაიამ უკანასკნელ საკავშირო ჩემპიონატში ითამაშა.

**ᲑᲐᲮᲠᲔᲮᲘ — ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ**

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. d4 d5 3. მc3 de 4. მ:e4 მf6 5. მ:f6+ ef 6. c3 კd6 7. კd3 0-0 8. მe2 ეe8 9. 0-0 ლc7 10. მg3 კe6 11. ლf3 (აქ, ეტყობა, სჯობდა ლh5, g6-ის შემდეგ კი ლh4) მd7 12. მფh1 g6 13. c4 f5 14. კg5 c5 15. d5 მe5 16. ლd1 კd7 17. კf6 მg4 18. კc3 კe5! (აუცილებლად საჭიროა თეთრების ძლიერი კუს გაცვლა) 19. კ:e5 ლ:e5 20. ლc2 f4! 21. ეfe1 ლd4 22. მe4 ე:e4! 23. კ:e4 მf2+ 24. მფg1 მ:e4+ 25. მფh1 მf2+ 26. მფg1 და თეთრები დანებდნენ.

მართლაც და, მაია ითამაშებს 26... მd1+, რის შემდეგ ზედმეტი ფიგურით რჩება.

**გ. გამრეკელი.**

კანდიდატთა ფინალური მატჩი

# დავა გრძელდება

**ᲒᲣᲨᲘᲜ** მოსკოვში დანიშნული იყო მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების ნანა ალექსანდრიასა და ირინე ლევიტინას ფინალური მატჩის გადადებული მეთხუთმეტე პარტიის დამთავრება.

მეტოქეები თამაშის განახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, ანგარიში გახდა 7,5:7,5.

მატჩის შემდეგი პარტია გაიმართება კვირას, 9 მარტს. თეთრებით თამაშობს ი. ლევიტინა.

ფიგურული ხრიალი

# ს. ვოლკოვი — მსოფლიოს ჩემპიონი

**ᲤᲘᲒᲣᲠᲣᲚᲘ** ხრიალის ისტორიაში საბჭოთა სპორტსმენმა პირველად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება. ამ დიდ გამარჯვებას მიაღწია სერგეი ვოლკოვმა (მოსკოვის ოლქი) — 231,35 ქულა.

ვერცხლის მედალი მოიპოვა მოსკოველმა ვლადიმერ კოვალიოვმა, ბრინჯაოს — ჯონ კარიმ (ინგლისი). ლენინგრადელი იური ოვჩინიკოვი მეექვსე ადგილზეა.

ქალთა შორის სავალდებულო და მოკლე პროგრამების შემდეგ წინ არის დე ლეუვი (ჰოლანდია) — 126,68 ქულა. მეორე ადგილზეა კეტ მალმბერგი (აშშ) — 120,70 ქულა, მესამეზე — იზაბელ დე ნავარე (გფრ) — 118,78 ქულა. მოსკოველი ლიუდმილა ბაკონინა მე-19 ადგილზეა.

# კალათბურთის ფარებთან

**ᲕᲐᲟᲗᲐ** გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩებში მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქისა და თბილისის დინამოელები. პირველი მატჩი გუშინწინ მასპინძლებმა მოიგეს ანგარიშით 79:74, ხოლო გუშინდელი შეხვედრა — 69:66.

**ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ** ჩემპიონთა თასის 14-გზის მფლობელმა რიგის ტტტ-ს ქალთა გუნდმა ამ პრიზის მორიგი გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში თავის მოედანზე დაამარცხა იტალიის კლუბი „გესი" — 86:52.

**ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ** „სპარტაკის" ვაჟთა გუნდმა მოიგო თასების მფლობელთა თასის გამორიცხვითი ნახევარფინალური მატჩი სოფიის ცსკა „სეფტემვრიისკო ზნამესთან" — 79:68 და გათამაშების ფინალში გავიდა.

# მოკლედ

**ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ.** კიევის „სპარტაკის" ქალთა გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩში მოუგო რუმინეთის ორგზის ჩემპიონს — ბუქარესტის „იუფს" — 16:8. მათი პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 11:11. ამრიგად, სპარტაკელები ფინალში გავიდნენ.

**ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ.** ტაშკენტში მიმდინარე ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირზე საბჭოთა კავშირის პირველმა გუნდმა მოუგო პოლონეთის ნაკრებს — 2:1, ჩეხოსლოვაკიელებმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს ფინელი ფეხბურთელები. ამრიგად, „ა" ჯგუფიდან ფინალში გავიდა სსრ კავშირი-1, რომელმაც მოიგო სამივე მატჩი.

— დალოცეთ! —



ნონა გაფრინდაშვილი



რუსუდან სიხარულიძე



ნანა ალექსანდრია



ნინო დრონოვა

## ღიმილიანი 8 მარტი

# გილოცავ, მაია...

**ᲘᲡ** იყო სარვამარტო საჩუქრებით დატვირთული ავტობუსზე ავლოდდი და თავისუფალ სკამს დავუწყე ძებნა, რომ უცებ ჩემს ყოფილ თანაკურსელს, აკაკუც მაიას მოვკარი თვალი. იგი სახეგაბრწყინებული იჯდა, ეტყობოდა ჩემსავით სადღაც სარვამარტო დღესასწაულზე მიდიოდა. მზხინავი, მორუხო-მონაცრისფრო თმა კოხტად გადმოეწყო მხრებზე, ფეხი ფეხზე გადაედო და ოცნების რაშით სადღაც შორს გაფრენილიყო.

— გამარჯობა მაია! — მივვარდი გახარებული, — გილოცავ ქალთა საერთაშორისო დღეს, მრავალს დაესწარი! მივაყარე სხაპასხუპით და მაგრად გადაეხვიე, მერე ჩავკოცნე.

— მაპატიეთ, — გაიღიმა მან, — მე... მაიას ძმა ვარ...

—?????

**ვ. ცინცაძე.**



— სახლი არ დაანაგვიანოთ, არაფერი არ გააფუჭოთ. დღეს, იცოდეთ, ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია.



დაუწუნეს.



უსიტყვოდ...



უსიტყვოდ...

მხატვრები ა. ერაძე, ვ. ბერიშვილი და მ. აბაშიძე.

# მხოლოდ ხუმრობით

● **ᲝᲯᲐᲮᲘᲡ** საიდუმლოს მეზობლების ყურებში ინახავდა.

● **ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ** ცეცხლს 8 მარტს თუმნიანი თუ ჩააქრობს.

● **ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ** ძალა ერთობაში კი არა — მარტობაშია.

● **ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ** ღირსია იმისა, რომ დაბადების დღე გადავუხადოთ.

**ზ. კაციაშვილი.**

# ქალი, ქვეყნები და ჩვეულებანი

მსოფლიოს გარშემო

1892 წელს იაპონიის იმპერატორმა ხელი მოაწერა დეკრეტს, რომელიც უფლებას აძლევდა ქალებს ეთამაშათ სცენაზე ერთდროულად მამაკაცებთან ერთად. მანამდე კი ისინი სცენაზე რიგრიგობით გამოდიოდნენ.

რამდენიმე ხნის წინათ ინდოეთში ცოლი ქმარს ხუთი ნაბიჯით უკან მიჰყვებოდა.

1891 წელს ბადენის მთავრობამ უფლება მისცა ქალებს უნივერსიტეტში დაუფლებოდნენ ფიზიკასა და მათემატიკას.

1878 წლის ინგლისში გამოცემული კანონით მამაკაცს ეკრძალებოდა წყალში ქალთან ახლოს ბანაობა. მათ შორის მანძილი ერთი მეტრი მაინც უნდა ყოფილიყო. 1898 წელს პასუხისგებაში მიეციათ ვინმე ცურვის მასწავლებელი, რომელსაც იცავდა ვექილი — თუ კაცი ქალს ერთ მეტრზე ახლოს არ მიუახლოვდა, როგორღა ასწავლის ცურვასო. „დამნაშავე" შედარებით იოლად გადარჩა, გადაახდევინეს მცირე ფულადი ჯარიმა.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ ზოგ ადგილას მე-19 ს. ბოლომდე შემორჩა ჩვეულება: ყბედ ქალს პირის ასაშმელს უკეთებდნენ. ჩემორეში და ლანკაშირში ინახება ამ ასაბმელების 13 სხვადასხვა ნიმუში — ისინი ნამდვილ საწამებელ იარაღს წარმოადგენენ.

1888 წელს ინგლისში მილიონზე მეტმა ქალმა მოაწერა ხელი თხოვნას, რომ კვირა დღეებში დაეკეტათ სასტუმროები, ყავახანები, ლუდხანები.

ძველ რომში ქვრივისათვის გლოვის მინიმალური ვადა იყო 10 თვე. თუ ქალი ქმრის სიკვდილის შემდეგ 1 წელიწადზე ადრე გათხოვდებოდა, ყოველგვარ ქონებაზე უუფლებო ხდებოდა, რომელიც კი მას დარჩენილი ჰქონდა გარდაცვლილი ქმრიდან.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ ცოლებს სწვავდნენ გარდაცვლილ ქმრებთან ერთად. ცოლები ერთმანეთს ეცილებოდნენ ამ „პატივში", მაგრამ სწვავდნენ იმას, ვისაც კენჭი შეხვდებოდა.

ძველ საბერძნეთში ქალი არ დადიოდა ბაზარში, ყველა სასყიდელი ოჯახში მიჰქონდა ქმარს. ქალს არ შეეძლო სიარული ქორწილებზე, დაკრძალვებზე და ა. შ.

1881 წელს სტამბოლში დახურეს ქალაქის ფოსტა, რადგან მანდილოსნებს ხშირად მოსდით ხელმოუწერელი ბარათებიო.

900-იან წლებში ქალაქ ოსკალოზის (აშშ, კანზასი) თვითმმართველობა ქალების ხელში გადავიდა. ქალაქი გალამაზდა, დამშვენდა. დაიხურა სამიკიტნოები. ყველაფერს ქალები განაგებდნენ.

ᲡᲘᲐᲛᲨᲘ თუ ქალი დრომდე არ გათხოვდებოდა, იგი სახელმწიფო კუთვნილებად ითვლებოდა. მთავრობა ვალდებული იყო გაეთხოვებინა იგი დამნაშავეებზე ჯარიმის გადახდის მაგიერ. მცირე დამნაშავეს შეეძლო ამოერჩია საცოლე, ხოლო დიდ დამნაშავეს მთავრობა აიძულებდა შეერთო ესა თუ ის ქალი იძულებით.

1901 წელს ავსტრიაში ასეთი კანონი დაწესდა: თუ ველოსიპედისტი დაეჯახებოდა გაუთხოვარ ქალს და წააქცევდა, ხოლო თვითონ უცოლო იყო, უნდა შეერთო იგი. ქარხნის პატრონები აღშფოთდნენ — მამაკაცები უარს იტყვიან ველოსიპედებზე, ვინაიდან ქალები ძალით ჩაუვარდებიან მათო.

ᲓᲔᲚᲐᲕᲔᲠᲘᲡ შტატში კანონით დაწესებული იყო გაროზგვა იმ ქმრისა, რომელიც სცემდა ცოლს. აქ ასეთი ქმრების დასასჯელად „სამარცხვინო ბოძებიც" კი არსებობდა.

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲛᲐ ვიქტორიამ ფეხი იტკინა და მეორე დღეს იძულებული გახდა გრძელი კაბა ჩაეცვა. ეს საკმარისი აღმოჩნდა ამ მოდების გავრცელებისათვის.

შეკრიბა **ს. ნუცუბიძემ.**

## ტელევიზია

### 8 მარტი

**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ**

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ბავშვებისათვის „ჯადოსნური ეკრანი", 11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „შევისწავლოთ ქართული ენა", 12.15 — კინონარკვევი — „ცეკვავს ნადია პავლოვა", 12.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 13.30 — მუსიკალური ფილმი „შეხვედრა შუაღამისას", 13.50 — „ჯანმრთელობა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.20 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 15.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის კონცერტი. 16.00 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია" II სერია. (ქართულ ენაზე), 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.45 — ფერადი ტელევიზია — მსოფლიო პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში (გადმოცემა ამერიკის შეერთებული შტატებიდან), 19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „იავნანა" — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის, 20.30 — „მოამბე" საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — ფერადი ტელევიზია — მინიატურების სატელევიზიო თეატრი „13 სკამი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კინოლექტორიუმი.

**ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ**

18.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საყვარელი როლი", 19.25 — კონცერტი, 20.05 — მხატვრული ფილმი „ახალგაზრდები".

### 9 მარტი

**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ**

9.55 — „სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა", 10.30 — ფერადი ტელევიზია — „მაღვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შევისწავლოთ რუსული ენა", 12.00 — კინონარკვევი, 12.10 — „საჭადრაკო სკოლა", 12.30 — „კინოაფიშა", 13.00 — ფერადი ტელევიზია. „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „კინოდოკუმენტალისტის თვალით", 14.30 — ნახატი ფილმი „შორეული კუნძულის საიდუმლოება", 15.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია მულტფილმები „აბა, დამაცადე"! 15.25 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია" მე-3 სერია (ქართულ ენაზე) 16.35 — კინონარკვევი, 16.45 — სტუდიაში პოლიტიკური მიმომხილველი იური ჟუკოვი — (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — ფერადი ტელევიზია — მსოფლიო პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში (გადმოცემა ამერიკის შეერთებული შტატებიდან), 19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ცხრაკლიტული", 20.00 — „შენთვის საბჭოთა ადამიანო!" (28 თებერვლის გადაცემის განმეორება), 20.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — ოსანა აივაზაშვილის სატელევიზიო იუბილე, 21.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.45 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი — „გმირებს ვულოცავთ".

**ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ**

18.05 — სატელევიზიო დადგმა „გამარჯობათ, მამებო!", 19.25 — კონცერტი, 20.15 — კინოპროგრამა, 21.00 — ფერადი იტალიური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „პუჩინი" (IV-V სერია).

ქალო, ვიქეთო, ქალო, დაგვიცქეროთ

## თეატრები

### 8 მარტი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲝ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ** (დღისით), **ᲧᲕᲐᲠᲧᲕᲐᲠᲔ** (საღამოს); რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — **ᲮᲘᲓᲘ**; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲔᲗᲔᲠᲘᲐᲜᲘ** (პრემიერა); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ᲯᲐᲠᲨᲘ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲓᲔᲓᲘᲡᲔᲠᲗᲐ** (დღისით), **ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲔᲑᲘ** (საღამოს).

### 9 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ᲐᲛᲐᲝ ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔ** (დღისით), **ᲚᲔᲚᲐ** (საღამოს); შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲣᲪᲮᲝ ᲙᲐᲪᲘ** (დღისით და საღამოს); რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — **ᲑᲔᲠᲜᲐᲠᲓᲐ ᲐᲚᲑᲐᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ** (საღამოს); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲔᲗᲔᲠᲘᲐᲜᲘ** (პრემიერა); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის **ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲔᲑᲘ** (დღისით), **ᲧᲕᲐᲠᲧᲕᲐᲠᲔ ᲗᲣᲗᲐᲑᲔᲠᲘ** (საღამოს).

გაზეთ „კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 11 მარტს.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი
380096 თბილისი-96 ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები